კალციუმის და მაგნიუმის იონები ძალიან მნიშვნელოვანია აგრეთვე უჯრედის კედლის სტრუქტურის შენარჩუნებაში და აკონტროლებენ მათ ფუნქციონირებას. ლიტერატურაში განსაკუთრებულად განიხილება მეტალთა იონების კავშირი ქრომატინთან და ნუკლეინის მჟავებთან (Mello et al., 1995; Nowosielska and Pawlas, 2015). მეტალთა იონების ურთიერთქმედება ნუკლეინის მჟავებთან და ქრომატინთან ვრცლად არის გაშუქებული ლიტერატურაში. მთელ რიგ შრომებში მოყვანილია მონაცემები ნუკლეინის მჟავებთან მეტალთა იონების კომპლექსების ბიოლოგიური მნიშვნელობის შესახებ, უჯრედულ სისტემებში მეტალთა იონების არსებობის შესახებ, მათი გავლენის შესახებ რნმ-ს აქტივობაზე და ნუკლეინის მჟავების მონაწილეობით მიმდინარე ფერმენტული რეაქციების სპეციფიურობაზე (Девидзе 1983; Львова и др., 1990; Abshire et al., 1996; Nowosielska and Pawlas, 2015). მძიმე მეტალთა გენეტიკური მოქმედების ეფექტი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გამოყენებულ ტესტ-სისტემაზე. ასეთ ტესტ-სისტემებს მიეკუთვნება ბაქტერიული სისტემა, უმაღლეს მცენარეთა უჯრედები, დროზოფილა, ძუძუმწოვართა ძვლის ტვინის უჯრედები, ძუძუმწოვართა და ადამიანის უჯრედული კულტურები. მძიმე ლითონთა ციტოგენეტიკური ეფექტი დაფიქსირებულია ძუძუმწოვართა უჯრედებზე მათი ზემოქმედებისას როგორც *in vitro* ისე *in vivo* სისტემებში (Davidson et al., 2011; Arita et al., 2012). მოლიბდენის მარილების გენეტიკური ექტივობის შესწავლისას ნაჩვენებია, რომ მოლიბდენის საამქროს მუშებში, რომელთაც ხანგძლივი კონტაქტი ჰქონდა მოლიბდენის ნაერთებთან, ადგილი აქვს ქრომოსომათა აბერაციებისა და შქგ-ს სიხშირის მატებას. იგივე შედეგი მიიღეს *in vitro* სისტემაშიც – საკონტროლო პირების ლიმფოციტურ კულტურათა უჯრედებში მოლიბდენის მარილების შეყვანისას (Costa 1999). პოზიტიური ეფექტი ქრომოსომათა დარღვევების ინდუქციის ტესტის მიხედვით დადასტურებულია თუთიის იონებისათვის, მათი ზემოქმედებისას ადამიანის ლიმფოციტურ კულტურებზე. კადმიუმის ქლორიდის დაბალი კონცენტრაციებით 34 ზემოქმედებისას მიუთითებდნენ დიცენტრული ქრომოსომების არსებობაზე უჯრედულ კულტურებში (Abshire et al., 1996).

ქრომოსომათა აბერაციების სიხშირის ზრდის უნარი გამოვლენილია კობალტის ქლორიდისათვის. კობალტი ქრომოსომათა აბერაციების ინდუქციას იწვევდა როგორც იმ

პირთა ლიმფოციტებში, რომლებიც კობალტის ქლორიდთან 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში კონტაქტობდნენ, ასევე in vitro პირობებშიც, ლიმფოციტურ კულტურებზე ზემოქმედებისას. ორივე შემთხვევაში მოცემული შრომის ავტორებმა მოახდინეს კობალტის დამაზიანებელი მოქმედების მოდიფიცირება ასკორბინის მჟავით, რომელიც საგრძნობლად აქვეითებდა აღნიშნული ნაერთის მუტაგენურ ეფექტს. ავტორები ამას ხსნიან ასკორბინის მჟავას უნართ გაყოფილ დნმ-ს რეპარაციის ოპტიმიზაცია (Bellicci-Ferrari et al., 2005). მძიმე ლითონების ზემოქმედებით განპირობებული დნმ-ს დაზიანებები ძირითადად წარმოდგენილია დნმ-ს ერთძაფიანი გაწყვეტებით და ალკირებადი ბმული საიტების – დნმ-დნმ და დნმ- ცილა ჯვარედინი კავშირების სახით. ნაჩვენებია აგრეთვე, რომ კობალტის ზოგიერთი ნაერთი ინდუცირებს ქრომოსომათა აბერაციებს მცენარეთა უჯრედებში. ამასთანავე, ავტორები უარყოფენ კობალტისა და მისი ნაერთების მუტაგენურ აქტივობას ძუძუმწოვართა უჯრედებისთვის (Leonard and Lauverys, 1990), თუმცა ნაჩვენებია ვირთაგვებზე კობალტის აცეტატის ზემოქმედებით განპირობებული დნმ-ის ოქსიდაცია ფილტვის, ღვიძლის, თირკმლის ქრომატინში. უფრო მეტიც, დნმ-ის ფუძეებიდან ზოგიერთი, მაგ.: 5-ჰიდროქსიციტოზინი მიჩნეულია პრომუტაგენად, რომელიც სავარაუდოდ ჩართულია კობალტ (II) –ით ინდუცირებულ მუტაგენებში (Li et al., 2009).

მძიმე მეტალები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ უჯრედში მიმდინარე პროცესებში. მათი მოქმედება ყოველთვის უნდა გაანალიზდეს კომპლექსური მიდგომით. მათი შესაძლო ეფექტები ცალსახად არის დამოკიდებული მათ კონცენტრაციაზე. მძიმე მეტალები, გარკვეულ კონცენტრაციით, აღწევენ უჯრედში და მონაწილეობენ ნორმალურ ფიზიოლოგიურ პროცესებში. ამასთან, ავლენენ თავის ტოქსიკურობას ნუკლეინის მჟავებთან და ცილებთან ქიმიური ურთიერთქმედების გზით, ცვლიან ბირთვში შემავალი მაკრომოლეკულების კონფორმაციას. ეს ყველაფერი იწვევს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ბირთვული პროცესების რეგულაციის დარღვევას, როგორცაა ტრანსკრიფცია, დნმ-ს რეპლიკაცია, რეპარაცია, რითაც ხშირად მიყავთ უჯრედი მოულოდნელ და შეუქცევად ცვლილებებამდე - კარცინოგენუზამდე (Nowosielska and Pawlas, 2015).

## 2.8. პეპტიდური ბიორეგულატორები

პეპტიდურ ბიორეგულატორებს აქვთ უნარი აღადგინონ ფუნქციური დარღვევები, შეანელონ პათოლოგიური პროცესების განვითარება, უჯრედული პოპულაციების ნორმალური სტრუქტურული და ფუნქციური ჰომეოსტაზის შენარჩუნებითა და იმუნური სისტემის ჰომეოსტაზის მოლეკულური მექანიზმების რეგულაციის გზით (Хавинсон, Морозов, 2001; Kuznik et al., 2013). ამასთანავე, აქვთ მაღალი სამკურნალო პოტენციალი მათი ბიოლოგიური აქტივობის გამო და ქსოვილსპეციფიური მოქმედება (Khavinson et al., 2014).

პეპტიდთა კომპლექსები (რეგულატორული პეპტიდები) გამოყოფილია პრაქტიკულად ყველა ქსოვილიდან. ისინი ახალი თაობის მაღალთერაპიული აქტივობის მქონე სამკურნალო პრეპარატებია, რომელთა მასა არ აღემატება 10 კდ-ს. პეპტიდური ბიორეგულატორები მონაწილეობენ უჯრედული პოპულაციების სტრუქტურული და ფუნქციური ჰომეოსტაზის შენარჩუნებაში (Khavinson et al., 2013).

ბიორეგულატორული პეპტიდები განაპირობებენ ორგანიზმის ძირითადი ფუნქციების ნორმალიზებას, ჰომეოსტაზის და მეტაბოლიზმის გაუმჯობესებას, რაც დადებითად აისახება ორგანიზმის ჯანმრთელობაზე (Kuznik et al., 2013; Khavinson et al., 2014).

მრავალიერარქიული პრინციპის მიუხედავად, ჰომეოსტაზის რეგულაციის ყველა მექანიზმი პრინციპულად ერთიდაიგივე მიზანს ემსახურება – კოორდინირებას უწყვეს უჯრედში ცილის ბიოსინთეზს გენთა ექსპრესიაზე ზემოქმედების გზით.

ბიორეგულატორული პეპტიდების მოქმედების შესწავლამ დაადგინა, რომ ისინი ჰომეოსტაზის დარღვევის შემთხვევაში ააქტიურებენ უჯრედის ანტიოქსიდანტურ სისტემებს და მაკრომოლეკულების რეპარაციას (Хавинсон и Морозов, 2001).

ნაჩვენებია პეპტიდური რეგულატორების ანტისიმსივნური აქტივობა ნეიროენდოკრინული და იმუნური სისტემების მოდულირების გზით (Anisimov, 2002; 2004; 2010). ზოგიერთი ბიორეგულატორული პეპტიდი (ეპიტალამინი, ეპიტალონი) ხასიათდება გამოხატული ანტიოქსიდანტური აქტივობით (Anisimov et al., 2001; Khavinson et al., 2013).

პეპტიდური ბიორეგულატორებს აქვთ უნარი შეცვალონ გენომის ფუნქციონალური აქტივობა უჯრედული ციკლის სხვადასხვა სტადიაზე და გავლენა იქონიონ გენტა ექსპრესიაზე, ი-რნმ-ის ტრანსკრიფციულ პროცესზე და ამდენად ცილების ბიოსინთეზზე, უჯრედთა პროლიფერაციისა და დიფერენციაციის პროცესებზე (Mopozov , 2000; Lezhava et al., 2004).

ბიომარეგულირებელი თერაპია, რომლის საფუძველს წარმოადგენს პეპტიდური ბიორეგულატორების კომპლექსური გამოყენება, თანამედროვე მედიცინის ინტენსიურად განვითარებადი ახალი მიმართულებაა. პეპტიდური ბიორეგულატორული თერაპია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ჰომეოსტატიური მიმართულება მედიცინაში. დღითიდღე იმატეს იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც ორგანიზმის დარღვეული ფუნქციების აღსადგენად ასეთ თერაპიას მიმართავენ.

სინთეზირებულია მოკლე პეპტიდები: ლივაგენი (Lys-Glu-Asp-Ala), ვილონი (Lys-Glu), თიმოგენი ( $\alpha$ -Glu-Trp), კორტაგენი (Ala-Glu-Asp-Pro), ეპიტალონი (Ala-Glu-Asp-Gly), პროსტამაქსი (Lys-Glu-Asp-Pro) და სხვა. მათი გამოყენება დაიწყო მედიცინის პრაქტიკულად ყველა სფეროში. სამედიცინო პრაქტიკაში წარმატებით გამოიყენება როგორც სხვადასხვა ორგანოდან გამოყოფილი, ისე სინთეზურად მიღებული პეპტიდური ბიორეგულატორები. ცნობილია, რომ ისინი ანელებენ ორგანიზმის ბიოლოგიური საათის სვლას. მათი მოქმედება მიმართულია სიმსივნეების და ასაკთან დაკავშირებული პათოლოგიების პროფილაქტიკისაკენ (Lezhava, 2006; Khavinson et al., 2013, 2022). მაგალითად, პეპტიდები Lys-Glu და Ala-Glu-Asp-Gly ამცირებენ სიმსივნის განვითარების რისკს ცხოველებში და ზრდიან მათისიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას (Khavinson et al., 2000; Anisimov et al., 2002; Anisimov et al., 2003; Виноградова и др., 2008), პეპტიდი Ala-Glu-Asp-Pro ასტიმულირებს ნერვული უჯრედების რეგენერაციას (Khavinson et al., 2003, 2005, 2007), Lys-Glu-Asp-Trp ამცირებს გლუკოზის დონეს შაქრიანი დიაბეტის მქონე ექსპერიმენტულ ცხოველებში (Khavinson et al., 2005; 2010), Ala-Glu-Asp-Leu აღადგენს ბრონხული ეპითელიუმის უჯრედების ფუნქციას, Ala-Glu-Asp-Arg პეპტიდი აღადგენს მიუკარდიუმის უჯრედების ფუნქციონალურ აქტივობას (Khavinson et al., 2022).

პეპტიდური ბიორეგულატორი ლივაგენი ტეტრაპეპტიდია (Lys-Glu-Asp-Ala) - ღვიძლის კომპლექსური პრეპარატის ამინომჟავური ანალიზის საფუძველზე ქიმიური სინთეზის გზით არის შექმნილი სანქტ-პეტერბურგის ბიორეგულაციისა და გერონტოლოგიის ინსტიტუტში. პრეპარატი ასტიმულირებს ქსოვილთა რეგენერაციის პროცესებს, ქსოვილსპეციფიკური ცილების სინთეზს, უჯრედების პროლიფერაციულ და მეტაბოლიტურ აქტივობას, აჩქარებს ჭრილობების შეხორცებას, ააქტიურებს შემაერთებელი ქსოვილის უჯრედების, მაკროფაგებისა და ლეიკოციტების ფუნქციას დაზიანების კერაში. გააჩნიათ ანტიოქსიდანტური, იმუნომასტიმულირებელი და ანტიისტრესული მოქმედება (Khavinson, 2009).

### 3. კვლევის მასალა და მეთოდика

#### 3.1. კვლევის მასალა

გამოყენებული იყო 25–50 წლის კლინიკურად ჯანმრთელი 100 ინდივიდისა და ამავე ასაკობრივი ჯგუფის ძუძუს კიბოთი დაავადებული 50 პაციენტების ლიმფოციტარულ კულტურათა უჯრედები. ანალიზდებოდა როგორც ინტაქტური, ასევე მეტალის იონისა და ბიორეგულატორის განმხოლოებული და კომბინირებული მოქმედებისას მიღებული ლიმფოციტური კულტურების მეტაფაზები.

მასალის აღება ხდებოდა პაციენტთა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ეთიკური კომისიის მოთხოვნის შესაბამისად პაციენტთა დადასტურებული თანხმობით.

#### 3.2 კვლევის მეთოდები

##### 3.2.1 დიფერენციული სკანირების მიკროკალორიმეტრული მეთოდი

ქრომატინის კონდენსაციის, ჰეტეროქრომატინიზაციის დონეს ვიკვლევდით დიფერენციული სკანირების კალორიმეტრის გამოყენებით (Monaselidze et al., 1978). აღნიშნული დანადგარი საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ როგორც ცილებისა და ნუკლეინის მჟავების განზავებული ხსნარების, ასევე უჯრედებისა და ქსოვილების სითბური თვისებები.

დიფერენციული სკანირების კალორიმეტრის მგრძობელობა შეადგენს  $10^{-7}$  კალ/წთ, ტემპერატურული ინტერვალი – 20–150°C. გათბობის სიჩქარე ვარიირებს 1-დან 0.05 კ/სთ, გასაზომი უჯრედების რაოდენობა – 0,3 მლ. რნპ-კომპლექსისა და ქრომატინის განსაზღვრის სიზუსტის ცდომილება არ აღემატება  $\pm 1^{\circ}$ .

ქრომატინის კონდენსაციის გრაფიკულ გამოსახვას ვახდენდით სითბოს შთანთქმის მრუდებით. დიფერენციული სკანირების მიკროკალორიმეტრულ მეთოდს საფუძვლად უდევს ის ფაქტი, რომ ქრომატინის განსხვავებული ფრაქციები ხასიათდებიან განსხვავებული თერმოსტაბილობით.

### 3.2.2 ადამიანის პერიფერიული სისხლის ლიმფოციტების კულტივირება

ცნობილია, რომ პერიფერიული სისხლის ლიმფოციტები ჩვეულებრივ პირობებში, დაუყოფადი უჯრედებია, რომლებიც იმყოფებიან  $G_0$  ფაზაში. *in vitro* უჯრედულ კულტურაში ფიტოჰემაგლუტინინის (ფჰა) დამატების შემდეგ ისინი იწყებენ ციკლში შესვლას, რასაც თან სდევს ცილებისა და დნმ-ს სინთეზი და უჯრედების დაყოფა.

ამ სისტემის უმნიშვნელოვანესი დამსახურება არის მოკლევადიანი კულტურების მისაღებად დიდი რაოდენობით უჯრედების ხელმისაწვდომობა; ინტერფაზის  $G_0$  და  $G_1$  ფაზაში მყოფი უჯრედული პოპულაციების სინქრონულობა და მიტოგენით მათი სტიმულირების შესაძლებლობა; სპონტანური ქრომოსომული აბერაციების დაბალი სიხშირე; ქრომოსომათა გადანაცვლებების (ტრანსლოკაციების) ტიპების შესწავლის შესაძლებლობა ნამდვილი მუტაციური პროცესის დროს და მათი ფიზიკური და ქიმიური ფაქტორებით ინდუცირებისას. ამასთანავე, ლიმფოციტები არიან იმუნოკომპეტენტური უჯრედები და ავლენენ მაღალ მგრძობელობას ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორების ზემოქმედებაზე.

ლიმფოციტების კულტივირება ხდებოდა მოდიფიცირებული მეთოდით (Lezhava, 2006). ხდებოდა ძუძუს სადინროვანი კიბოთი დაავადებული 25-50 წლის ასაკის და ასევე კლინიკურად ჯანმრთელი 25-50 წლის ინდივიდების 5 მლ ვენური სისხლის აღება და სტერილურ სინჯარებში გადატანა, სადაც სისხლის შედედების თავიდან აცილების მიზნით ჩასხმული იყო 0,5 მლ ჰეპარინის სამუშაო ხსნარი. ერითროციტების დალექვის მიზნით სისხლი 2 საათით თავსდებოდა ოთახის ტემპერატურაზე და ლიმფოციტების შემცველი პლაზმა ინკუბაციისათვის გადაიტანებოდა სტანდარტულ სინჯარებში. ემატებოდა 3 მლ საკვები არე RPMI 1640 და ფიტოჰემაგლუტინინი (ფჰა) (Sigma). სინჯარები თავსდებოდა თერმოსტატში  $37^{\circ}\text{C}$  -ზე. ფიქსაცია ხდებოდა ინკუბაციის 72-ე საათზე. ფიქსაციამდე 3 სთ-ით ადრე კულტურებს ემატებოდა კოლხიცინი საბოლოო კონცენტრაციით – 0,5 მკგ/მლ. ფიქსაცია მიმდინარეობდა სამჩანაცვლებული ნატრიუმის ციტრატის ჰიპოტონური ხსნარით და მეთანოლისა და ყინულოვანი ძმარმჟავის ნარევით (3:1), ფიქსატორის ორჯერადი შეცვლით 30 წთ-ის განმავლობაში. ამის შემდეგ ხდებოდა უჯრედების მცირე რაოდენობის ფიქსატორში (0,2-0,3 მლ) კარგად რესუსპენზირება და



პასტერის პიპეტის მეშვეობით ცივ სასაგნე მინებზე გადატანა. პრეპარატები შრებოდა ჰაერზე.

### 3.2.3 ქრომოსომული მუტაციების აღრიცხვის მეთოდი

ქრომოსომების რაოდენობრივ-სტრუქტურული დარღვევების შეფასება ხდებოდა ციტოგენეტიკური ნომენკლატურის საერთაშორისო სისტემის (ISCN,2003) მიხედვით. ვანალიზებდით კარგი განზნევის მქონე 46-47 ქრომოსომის შემცველ მეტაფაზებს. აღვრიცხავდით ერთეულ და წყვილ ფრაგმენტებს, ტრანსლოკაციებს, გეპებს.

აბერაციების შემცველ უჯრედთა პროცენტისათვის სტანდარტული შეცდომის გამოთვლა ხდებოდა ფორმულით:

$$m = \pm \frac{\sqrt{n(100-n)}}{N}$$

სადაც: n აბერანტულ უჯრედთა პროცენტული მაჩვენებელია,

N-განალიზებულ უჯრედთა რაოდენობა.

ორ სიმრავლეს ვადარებდით სტიუდენტის (t) კრიტერიუმით:

$$t = \frac{M_1 - M_2}{\sqrt{m_1^2 + m_2^2}}$$

### 3.2.4 ფრაგილური საიტების გამოვლენისა და აღრიცხვის მეთოდი

დღეისათვის ფრაგილური საიტების გამოსავლენად გამოიყენება მრავალი ნაერთი: თიმიდინი, მეტათრექსატი, ბრომდეზოქსიურიდინი, მეთიონინი, ტრიმეთოპრიმი, დისტამიცინი და სხვ. ჩვენს მიერ ფრაგილური საიტების ინდუქციისათვის გამოყენებული იყო 5-ბრომდეზოქსიურიდინი. კულტივირება მიმდინარეობდა სტანდარტული მეთოდით. 5-ბრომდეზოქსიურიდინის შესაბამისი კონცენტრაციის ხსნარი (2000 მკგ/მლ) კულტურებს ემატება 24 საათით, ქრომოსომული პრეპარატები იღებებოდა 5%-იანი აზურ-ეოზინით. აღვრიცხებოდა ფრაგილური საიტების შემცველ უჯრედთა სიხშირე, ფრაგილური საიტების რაოდენობა ერთ უჯრედზე და მათი განაწილება ქრომოსომულ ჯგუფებში და ქრომოსომის სიგრძის გასწვრივ.

### 3.2.5 ქრომატინის ერთმაფიანი წყვეტების გამოვლენის მეთოდი - Comet Assay

კომეტ-ესეი (Comet Assay), რომელსაც ასევე უწოდებენ ერთუჯრედოვან გელ-ელექტროფორეზს (SCGE), არის მგრძნობიარე და სწრაფი ტექნიკა ცალკეულ უჯრედებში დნმ-ის დაზიანების რაოდენობრივი განსაზღვრისა და ანალიზისთვის. როგორც ასეთი, ეს არის ერთ-ერთი ტექნიკა, რომელიც გამოიყენება კიბოს კვლევის სფეროში გენოტოქსიურობისა და ქიმიოპრევენციის ეფექტურობის შესაფასებლად. ეს ტექნიკა შვედმა მკვლევარებმა ოსტლინგმა და იოჰანსონმა (Östling & Johansson, 1984) შეიმუშავეს 1984 წელს, რომელიც მოგვიანებით შეცვალა სინგმა (Singh, 1988), 1988 წელს, როგორც Alkaline Comet Assay. ამ მეთოდის შედეგად მიღებული სურათი წააგავს "კომეტას" განსხვავებული თავით და კუდით. თავი შედგება დაუზიანებელი დნმ-ისგან, ხოლო კუდი შედგება დაზიანებული (ერთჯაჭვიანი ან ორჯაჭვიანი რღვევები) ან გაწყვეტილი დნმ-ისგან.

ცალკეული უჯრედები ჩასმულია თხელ აგაროზის გელში მიკროსკოპის სლაიდზე. ყველა ცილა მოცილებულია უჯრედებიდან ლიზისით. დნმ-ს სპირალის გახსნა ხდება ტუტე/ნეიტრალურ პირობებში. გახსნის შემდეგ, დნმ გადის ელექტროფორეზს, რაც საშუალებას აძლევს გაწყვეტილ დნმ-ის ფრაგმენტებს ან დაზიანებულ დნმ-ს, მიგრირდეს ბირთვიდან. დნმ-სპეციფიკური ფლუორესცენტური საღებავით შეღებვის შემდეგ, როგორც არის ეთიდიუმის ბრომიდი ან პროპიდიუმის იოდიდი, გელზე იკითხება ფლუორესცენტის ოდენობა თავში და კუდში და კუდის სიგრძეზე. კომეტის თავიდან გამოთავისუფლებული დნმ-ის მოცულობა პირდაპირპროპორციულია დნმ-ის დაზიანების ოდენობისა (Olive and Banath, 2006).

Comet Assay შეიძლება გამოყენებულ იქნას დნმ-ის დაზიანების აღმოსაჩენად, რომელიც გამოწვეულია ორმაფიანი წყვეტით, ერთმაფიანი რღვევით, ტუტე-ლაბილური ადგილების არსებობით, ჟანგვითი ბაზის დაზიანებისა და დნმ-ის ჯვარედინი კავშირით დნმ-თან ან ცილასთან. Comet Assay ასევე გამოიყენება ცოცხალი უჯრედების მიერ დნმ-ის რეპარაციის მონიტორინგისთვის (Collins, 2004).

### 3.2.6 შვილეულ ქრომატიდთაშორისი გაცვლების (შქგ) გამოვლენის მეთოდი

შვილეულ ქრომატიდთა დიფერენციული შეღებვის საფუძველი შქგ-ს გამოსავლენად მდგომარეობს იმაში, რომ რეპლიკაციის ორი ციკლის განმავლობაში ხდება უჯრედების ინკუბაცია 5-ბრომდეზოქსიურიდინის თანაობისას (5-ბდუ), რომელიც დნმ-ს სინთეზის პროცესში ერთვება თიმინის ადგილას. რეპლიკაციის ორი ციკლის შემდეგ ერთ-ერთი ქრომატიდის დნმ-ს მოლეკულის ორივე ჯაჭვი შეიცავს ანალოგს და სპეციალური დამუშავების შემდეგ იღებება ნაკლებად ინტენსიურად, ვიდრე მეორე შვილეული ქრომატიდა, რომელიც შეიცავს მხოლოდ ერთ ბდუ-ჩანაცვლებულ ჯაჭვს, რაც იძლევა მათ შორის გაცვლების აღმოჩენის შესაძლებლობას.

ლიმფოციტურ კულტურაში შვილეულ ქრომატიდთა მონიშვნისათვის, ფჰა-ის შეყვანისთანავე ემატებოდა 5-ბდუ კონცენტრაციით 7,7მკგ/მლ, რომელიც რჩებოდა კულტურაში ფიქსაციამდე. უჯრედების ინკუბაცია მიმდინარეობდა 72 სთ-ის განმავლობაში 37 °C-ზე. ტესტირებული ბიორეგულატორები კულტურებს ემატებოდა დადგმიდან 24-ე საათზე, კონცენტრაციით – 0,01 მკგ 1 მლ კულტურაზე. კოლხიციინიზაცია, ჰიპოტონიზაცია და კულტურების ფიქსაცია ტარდებოდა ისევე, როგორც ლიმფოციტების კულტივირების შემთხვევაში.

რამდენიმე (5-6) დღის განმავლობაში პრეპარატები ინახებოდა სიბნელეში და ამის შემდეგ იღებებოდა ფლუოროქრომების გამოყენების გარეშე, ანტომჰინასა და პარიადკოვას მეთოდის მიხედვით (1978). ქრომოსომული სლაიდები თავსდებოდა 2xSSC ხსნარში და სხივდებოდა DPT-375 ნათურით. დასხივების დასრულების შემდეგ, პრეპარატები ირეცხებოდა წყლით და შრებოდა. შეღებვა ხდებოდა აზურ-ეოზინის ახლად დამზადებული საღებავით.

აღწერილი პროცედურების შედეგად მეორე მიტოზის მეტაფაზურ ქრომოსომებში ვლინდება მკვეთრი დიფერენცირება შვილეულ ქრომატიდთა შორის, კარგად გარჩევადი შქგ-თი.

შქგ-ს სიხშირის შესაფასებლად ცალკეულ ქრომოსომულ ჯგუფებში აღირიცხებოდა ტერმინალური და ინტერკალარული გაცვლები. ეს უკანასკნელი აღირიცხებოდა როგორც ორი გაცვლა.

ციტოგენეტიკური ეფექტის მაჩვენებელს წარმოადგენდა შქგ-ს დონე მეტაფაზაზე (M), რომელიც გამოითვლებოდა ფორმულით:

$$M = \frac{n}{N},$$

სადაც: n არის შესწავლილი შქგ-ების სრული რაოდენობა,

N - შესწავლილი მეტაფაზების სრული რიცხვი.

სტანდარტული შეცდომა გამოითვლებოდა ფორმულით:

$$m = \frac{\sqrt{n}}{N}.$$

ორი სიდიდის შესადარებლად გამოიყენებოდა სტიუდენტის (t) კრიტერიუმი:

$$t = \frac{M_1 - M_2}{\sqrt{m_1^2 + m_2^2}}.$$

### 3.2.7 აკროცენტრულ ქრომოსომათა ასოციაციათა აღრიცხვის მეთოდი

ასოციაციათა სიხშირე ფასდებოდა შემდეგი კრიტერიუმით: აცოციაციების შემცველი უჯრედების რაოდენობა, უჯრედზე ასოციაციათა საშუალო რიცხვი, ასოციაციაში მონაწილე ქრომოსომების რიცხვი (Lezhava, 1999).

ტრანსკრიფციულად აქტიურ უბნებში ხდება იონების აღდგენა, რაც პრეპარატის მოყვითალო-ყავისფერ ფონზე მუქი ლაქების სახით ჩანს. იღებება აკროცენტრული ქრომოსომების მხოლოდ ის უბნები, რომლებიც წინამორბედ ინტერფაზაში იყვნენ აქტიურნი. რამდენიმე კრიტერიუმით ვაფასებდით ბირთვაკმორგანიზებელ უბნებში ლოკალიზებული რიბოსომული ცისტრონების აქტივობას: ვერცხლით ღებვადი უბნების სიხშირის აღრიცხვით (D და G ჯგუფის ქრომოსომებისათვის ცალ-ცალკე და ერთდროულად) მოვერცხლილი სეგმენტების ზომით.

გამოითვლებოდა D და G აკროცენტრული ქრომოსომების Ag- პოზიტიურობა. მათი ნორმალური რიცხოვნების სხვაობის გათვალისწინებით გამოიყენებოდა ფორმულა:

$$\frac{P_D - P_G}{\sqrt{\frac{P_D(1-P_D)}{6n} + \frac{P_G(1-P_G)}{4n}}}$$

სადაც,  $P_D$  და  $P_G$   $Ag^+$  - პოზიტიური აკროცენტრული ქრომოსომების შეხვედრის ალბათობის მაჩვენებელია. მათი გამოთვლა ხდებოდა ფორმულით:

$$P_D = \frac{m_D}{6n}, \quad P_G = \frac{m_G}{4n}$$

სადაც,  $m$  -  $Ag^+$  - პოზიტიური ქრომოსომებია შესაბამის ჯგუფში.

$n$  - გაანალიზებული უჯრედების რაოდენობა.

სარწმუნოება საკვლევ და საკონტროლო მნიშვნელობებს შორის ფასდებოდა სტიუდენტის ( $t$ ) კრიტერიუმით.

### 3.2.8 ბირთვაკმაორგანიზებული უბნების გამოვლენის მეთოდი


ინტერფაზულ უჯრედებში ქრომოსომების აქტიური ბირთვაკმაორგანიზებული უბნების გამოვლენა და აქტივობის შეფასება შესაძლებელია დავერცხლის მეთოდის საშუალებით, არგენტოფილური სეგმენტების რაოდენობისა და ზომების მიხედვით. უჯრედის ეს მატად ზუსტი და მგრძობიარე რაოდენობრივი მახასიათებლები უმაღლეს რეაგირებენ უჯრედის ფიზიოლოგიური მდგომარეობის შეცვლაზე, აგრეთვე ამა თუ იმ აგენტის მოქმედებაზე.  $Ag^+$  - შეღებვა ხდებოდა Bloom-ისა და Goodpasture-ს (1976) მცირედ მოდიფიცირებული მეთოდით. ოთახის ტემპერატურაზე პრეპარატებს ემატებოდა ვერცხლის ნიტრატის 50%-იანი ხსნარის 3 წვეთი, ეფარებოდა საფარი მინა, თავსდებოდა ტენიან კამერაში და ინახებოდა 48 საათის განმავლობაში თერმოსტატში,  $37^{\circ}C$ -ზე. ამის შემდეგ პრეპარატები ირეცხებოდა დისტილირებული წყლით და შრებოდა ჰაერზე. მოვერცხლილი სეგმენტების ზომა ფასდებოდა 3 ბალიანი სისტემით: 0 - სეგმენტების არარსებობა, 1 - მცირე ზომის სეგმენტები (ქრომატინის სისქეზე პატარა), 2 - დიდი ზომის (ქრომატიდის სისქის ტოლი ამ მასზე დიდი).

### 3.2.9 G-ბენდირების მეთოდი

ადამიანის გენომში არსებული 24 ტიპის ქრომოსომის იდენტიფიკაციისთვის იყენებენ შეღებვის სხვადასხვა მეთოდს, რომელთაგან G-ბენდირება ყველაზე უფრო მისაღები და ხელსაყრელია ინდივიდუალური ქრომოსომების იდენტიფიკაციის მიზნით.

ქრომოსომასთან ასოცირებული ცილების დაშლის მიზნით, თავდაპირველად ქრომოსომული პრეპარატები მუშავდება ტრიფსინით, შემდეგ კი იფარება გიმზის საღებავებით. შედეგად, თითოეული ქრომოსომული წყვილი ღია და მუქ ზოლებად იღებება, რომლებსაც G-ბენდებს უწოდებენ. აღსანიშნავია, რომ გიმზით შეღებვის მეთოდის საშუალებით შესაძლებელია ინდივიდუალური ქრომოსომების ამოცნობა და ასევე დარღვევათა სხვადასხვა ტიპის დადგენა.

G-ბენდირებით შეღებილი ქრომოსომების კარიოტიპირება (იდენტიფიცირება) ხდებოდა IKAROS-ის კარიოტიპირების (MetaSystems) სისტემის საშუალებით, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე მეთოდს ქრომოსომათა იდენტიფიცირებისა და ანალიზისათვის (სურ.3).




სურ.3.2.2.9.1. Ikaros-ის კარიოტიპირების სისტემა

## 4. მიღებული შედეგები და განსჯა

4.1. ჰეტეროქრომატინიზაციის დონის განსაზღვრა ძუძუს კიბოთი დაავადებულ ინდივიდებში დიფერენციული სკანირების მიკროკალორიმეტრული მეთოდის გამოყენებით

სამუშაოს მოცემულ განაკვეთში გამოკვლეულია პეპტიდური ბიორეგულატორის – ლივაგენის გავლენა ძუძუს სადინროვანი კიბოთი დაავადებულთა ლიმფოციტების შემადგენლობაში არსებული ზოგადი ქრომატინის მდგომარეობის ცვლილებაზე, მისი დენატურაციის პარამეტრებზე დაკვირვების გზით.



სურ. 4.1.1. ა. სითბოს შთანთქმის მიკროკალორიმეტრული მრუდები: უწყვეტი ხაზი - კლინიკურად ჯანმრთელი, 22-45 წლის ინდივიდები; წყვეტილი ხაზი - ძუძუს სადინროვანი კიბოს (1-ლი სტადია) მქონე პაციენტების პლაზმის შემადგენლობაში არსებული ლიმფოციტების (24 სთ-იანი კულტურა) სითბოს შთანთქმის მიკროკალორიმეტრული მრუდი;

ბ. ძუძუს სადინროვანი კიბოს (1-ლი სტადია) მქონე პაციენტების პლაზმის შემადგენლობაში არსებული ლიმფოციტების (24 სთ-იანი კულტურა) სითბოს შთანთქმის მიკროკალორიმეტრული მრუდი (წყვეტილი მრუდი), უწყვეტი ხაზი - ლივაგენით დამუშავებული იგივე ლიმფოციტების კულტურა

მრუდები გაანგარიშებულია ერთ გრამ მშრალ ბიომასაზე.

წყვეტილი ხაზი: დნმ-ს მშრალი მასა 82 მკგ;

უწყვეტი ხაზი: დნმ-ს მშრალი მასა 78 მკგ.

წარმოდგენილი კალორიმეტრული მრუდები წარმოქმნილია ლიმფოციტარული კულტურის გაცხელების პროცესში  $40-120^{\circ}C$  ტემპერატურულ ინტერვალში. როგორც

სურათიდან ჩანს, ინტაქტური ლიმფოციტარული კულტურის სითბოსშთანთქმის მრუდს გააჩნია დამოუკიდებელი პიკების საკმარისად რთული პროფილი. ბირთვის შემადგენლობაში არსებული ქრომატინი დენატურირებს 74–107 °C–ის ფარგლებში (Cavazza et al., 1991; Cardellini et al., 2000). ამიტომ, მიგვაჩნია, რომ ქრომატინის დენატურაციას შეესაბამება პიკები – I, II, III (სურ. 4.1.1). ამ გადასვლების დენატურაციის პარამეტრები შემდეგია: Td(I)=82,3°C, Qd(I)=33,8 J/g; Td(II)=95°C, Qd(II)=30,2 J/g; Td(III)=106,2°C, Qd(III)=28,0 J/g.

ლიტერატურული მონაცემების თანახმად (Cardellini et al., 2000), უჯრედშიდა და უჯრედშორისი ცილებილ ღვებიან 42-90 °C ტემპერატურულ ინტერვალში. კერძოდ, ციტოპლაზმური ცილები ღვებიან 42-85 °C, რნმ კომპლექსები 60-75 °C, ქრომატინი 95-115 °C. ძირითადი პლაზმური ცილები ღვებიან განცალკევებულად. მაგ. ფიბრინოგენის D და F დომენები ღვებიან 57 და 95 °C, ალბუმინი რომელიც შეადგენს მთელი პლაზმური ცილების 40-45%-ს, ღვება 62±1 °C. ჯანმრთელი ადამიანის ლიმფოციტების შემადგენლობაში არსებული ქრომატინი ღვება ორ ეტაპად - 102±1 °C და 105±1 °C -ზე.

რადგან ლიმფოციტების კულტურაში პლაზმური ცილების რაოდენობა შეადგენს მთელი ბიომასის ~90%-ს, შესაბამისად, ლიმფოციტების ცილებს, რნმ-კომპლექსს და მემბრანებს არ შეაქვთ მნიშვნელოვანი როლი დიფერენციული სკანირების კალორიმეტრით (დსკ) მიღებული მრუდის ფორმირებაში 40-95 °C -მდე. როგორც მკაფიოდ ჩანს, ქრომატინი დნება 95-115 °C ტემპერატურულ ინტერვალში, ე.ი. იმ ტემპერატურულ ინტერვალში, სადაც პლაზმური ცილები არ იღებენ მონაწილეობას. აღსანიშნავია, რომ კალორიმეტრულ მრუდზე (სურ.4.1.1), მკაფიო პიკი  $T_m=91\pm 1$  °C შეესაბამება ფიბრინოგენის F დომენის დნობას; ეს პიკი არ შეინიშნება ადამიანის სისხლის შრატს შემთხვევაში.


სურ. 4.1.1.-ზე,  $91\pm 1$  °C -ზე მკაფიოდ გამოხატული პიკი დსკ-ს მრუდზე, შეესაბამება F(I) და F(II) დომენების ღვობას. ლივაგენის დამატების შემთხვევაში აქტიური ქრომატინის ინტენსივობა და თერმოსტაბილობა უმნიშვნელოდ იცვლება, მაგრამ ჰეროქრომატინის ინტენსივობა იზრდება, ე.ი. მისი სტაბილობაც უახლოვდება ნორმას.



ამდენად, მიღებული შედეგები, ერთი მხრივ, მიუთითებენ ძუძუს კიბოთი დაავადებულთა გენომის არასტაბილურობაზე და ქრომატინის მოდიფიკაციურ ცვალებადობაზე, და მეორე მხრივ, შესწავლილი პეპტიდური ბიორეგულატორის მოქმედების სპეციფიკურობაზე, რაც შესაძლოა, ამ პაციენტებში ქრომატინის მდგომარეობის მართვის პერსპექტივას სახავდეს.

**4.2. გენომის სტაბილურობის დონის ცვალებადობის შეფასება ძუძუს სადინროვანი კიბოთი დაავადებულთა ლიმფოციტებზე ბიორეგულატორისა და მეტალის განმხოლოებული და ერთობლივი მოქმედების დროს**


კვლევის პირველ ეტაპზე ჩატარდა გენომის სტაბილურობის დონის შეფასება ძუძუს კიბოთი დაავადებულთა უჯრედებში, ქრომოსომული აბერაციების ტესტის მიხედვით. შედეგად გამოვლინდა ამ პარამეტრის სიხშირის სარწმუნო ზრდა დაავადებულებში ( $7.5 \pm 2.2$ ), ჯანმრთელ ინდივიდებთან შედარებით ( $1.7 \pm 0.3$ ) (სურ.4.2.1.).




სურ.4.2.1. აბერაციების შემცველი მეტაფაზების პროცენტული მაჩვენებელი ძუძუს კიბოთი დაავადებულ ინდივიდთა ლიმფოციტურ კულტურებში ( $p < 0,01$ ).

ძუძუს სადინროვანი კიბოთი დაავადებულებისათვის დამახასიათებელია ასევე ანეუპლოიდიისა და პოლიპლოიდიის მაღალი მაჩვენებლები (სურ.4.2.2. ა; ბ).


ანეუპლოიდური უჯრედების სიხშირემ ძუძუს კიბოთი დაავადებულებში შეადგინა  $29.5 \pm 3.9\%$ , ხოლო აღნიშნული მაჩვენებელი ჯანმრთელ ინდივიდთა საკონტროლო ჯგუფში იყო  $6.7 \pm 1.2\%$ . პოლიპლოიდიის დონე სადინროვანი ძუძუს კიბოთი დაავადებულებში (პოლიპლოიდურ უჯრედთა სიხშირე -  $1.5 \pm 0.5\%$ ) მნიშვნელოვნად აღემატებოდა ჯანმრთელ ინდივიდთა ინტაქტური კულტურების მაჩვენებელს ( $0.1 \pm 0.01\%$ ).



სურ.4.2.2. ანეუპლოიდიის (ა) და პოლიპლოიდიის (ბ) მაჩვენებლები ძუძუს კიბოთი დაავადებულ ინდივიდთა ლიმფოციტურ კულტურებში ( $p < 0,01$ ).



ნორმალური მეტაფაზა




მეტაფაზა ქრომატიდული წყვეტით

ზოგადი გენომური არასტაბილურობა განაპირობებს როგორც უჯრედული, ისე ორგანიზმული ჰომეოსტაზის დარღვევას, იმუნური სტატუსის მკვეთრ დაქვეითებას. თავის მხრივ, არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ გენომური (ანქრომოსომული) არასტაბილურობის წინაპირობაა ქრომატინის რემოდელირება, რაც, ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა შექცევად ხასიათს ატარებდეს. შესაბამისად, იმ საშუალებათა ძიებას, რომლებსაც დმკ-ს დროს შეცვლილი ქრომატინის კორექციისა და გენომის ნორმალური ფუნქციონირების აღდგენის უნარი ექნებათ, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებათ.

კვლევის წინა ეტაპზე დადგენილი იყო, რომ დმკ-თი დაავადებულთა უჯრედებისათვის დამახასიათებელია გენომის სტაბილურობის დონის მნიშვნელოვანი დაქვეითება, რაც ქრომოსომათა სტრუქტურულ-რაოდენობრივი დარღვევების მაღალ სიხშირეში აისახა.

მოცემულ ეტაპზე გათვალისწინებული იყო პეპტიდური ბიორეგულატორის - ლივაგენისა და კობალტის იონების კომბინირებული მოქმედების შესწავლა ძუძუს დუქტალური კიბოთი დაავადებულების კულტურათა უჯრედებში.

ცნობილია, რომ პეპტიდური ბიორეგულატორების მაკორეგირებელი მოქმედება, შესაძლოა გაიზარდოს გარკვეულ მძიმე მეტალებთან კომბინირებული მოქმედებისას (მიუხედავად იმისა, რომ ამ მეტალებს შეიძლება საკუთარი მუტაგენური ეფექტი ჰქონდეთ), რაც დაზიანებული გენომის აღდგენისათვის ზემოქმედების უკეთესი ვარიანტების შერჩევის შესაძლებლობას იძლევა.



სურ.4.2.3. აბერაციების შემცველი მეტაფაზების პროცენტული მაჩვენებელი ძუძუს კიბოთი დაავადებულ ინდივიდთა ლიმფოციტურ კულტურებში ბიორეგულატორის - ლივაგენისა და კობალტის იონების განმხოლოებული და ერთობლივი ზემოქმედებისას.


პირველ რიგში განისაზღვრა ტესტირებული მეტალის საკუთარი განმხოლოებული ზემოქმედების ეფექტი დაავადებულთა კულტურალურ უჯრედებში, კერძოდ, აღირიცხებოდა ქრომოსომათა სტრუქტურული აბერაციებისა და რაოდენობრივი დარღვევების (ანეუპლოიდია და პოლიპლოიდია) შემცველ უჯრედთა სიხშირეები. აღმოჩნდა, რომ კობალტის განმხოლოებული ზემომედებისას დარეგისტრირებულ აბერანტულ უჯრედთა სიხშირემ შეადგინა 3,95%, რაც სარწმუნოდ ნაკლებია ჯანმრთელ ინდივიდთა ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით (8,4%). რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ტესტირებულმა მეტალმა პროტექტორული მოქმედება გამოავლინა დძკ-თი დაავადებულთა კულტურებში - მკვეთრად დააქვეითა ინტაქტური კულტურებისათვის დაფიქსირებული მაჩვენებელი (სურ.4.2.3. ცხრ.1). გამოვლენილი ჯანმრთელ და დუქტალური ძუძუს კიბოთი დაავადებულთა უჯრედების განსხვავებული მგრძობიანობა შესწავლილ მეტალთა იონებისადმი მეტყველებს იმაზე,

რომ სადინროვანი კიბოთი დაავადებულთა უჯრედები განსხვავებულ მოდელურ უჯრედულ სისტემას წარმოადგენენ.

ლივაგენის კობალტთან კომბინირებული მოქმედების შედეგი განსხვავებული აღმოჩნდა. კერძოდ, ლივაგენის დამცველობითი ეფექტი უფრო მნიშვნელოვანი იყო მისი განმხოლოებული გამოყენებისას (სურ. 4.2.3), ვიდრე მეტალთან კომბინაციაში, თუმცა ამ ორ მაჩვენებელს შორის სარწმუნო სხვაობა არ დაფიქსირდა.

ეს მონაცემები მიუთითებენ იმაზე, რომ უჯრედულ კულტურათა სხვადასხვა მოდელურ სისტემებში სხვადასხვა აგენტებს აქვთ ზემოქმედების მათთვის სპეციფიკური საიტები.


გენომის მდგომარეობის მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს ქრომოსომათა რიცხოვრივი დარღვევები. ანეუპლოიდიის შემთხვევაში ისინი ცენტრომერული ჰეტეროქრომატინის ცვალებადობაზე მიუთითებენ, რადგან სწორედ ცენტრომეროსთან არის დაკავშირებული ქრომოსომათა სეგრეგაციის სიზუსტე მიტოზის დროს.



სურ.4.2.4. ანეუპლოიდიის მაჩვენებელი ძუძუს კიბოთი დაავადებულ ინდივიდთა ლიმფოციტურ კულტურებში ბიორეგულატორის - ლივაგენისა დაკობალტი იონების განმხოლოებული და ერთობლივი ზემოქმედებისას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძუძუს სადინროვანი კიბოთი დაავადებულებისათვის დამახასიათებელი ანეუპლოიდიის მაღალი მაჩვენებელი (ანეუპლოიდური უჯრედების სიხშირე დაავადებულთა ინტაქტურ კულტურებში შეადგენს 29%-ს; საკონტროლო ჯგუფის ჯანმრთელი ინდივიდების შემთხვევაში - 6,2%-ს), რომელიც მნიშვნელოვან ცვალებადობას განიცდის კულტურებზე ზემოქმედების განსხვავებულ პირობებში. თუ ტესტირებული ბიორეგულატორი - ლივაგენი, განმხოლოებული ზემოქმედებისას სტატისტიკურად სარწმუნოდ აქვეითებდა ანეუპლოიდიის დონეს, მეტალის ეფექტი მკვეთრად განსხვავებული აღმოჩნდა, კერძოდ კობალტი იწვევდა დაავადებულთა ინტაქტური კულტურებისათვის დაფიქსირებული მაჩვენებლის ერთგვარ მატებას, თუმცა ეს მაჩვენებელი არ იყო სტატისტიკურად სარწმუნო (სურ. 4.2.4, ცხრ.1). ლივაგენისა და კობალტის ერთობლივი მოქმედების შედეგად კი სარწმუნოდ ქვეითდებოდა ძუძუს კიბოთი დაავადებულთა ინტაქტურ კულტურებში აღრიცხული ანეუპლოიდიის დონე და შეადგენდა  $19 \pm 1.1\%$  (სურ. 4.2.4, ცხრ.1). შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ისევე როგორც შესწავლილი ბიორეგულატორის განმხოლოებული, მისი მეტალთან კომბინირებული ზემოქმედებისასაც, ადგილი აქვს ცენტრომერული ჰეტეროქრომატინის დეკონდენსაციას.

შესწავლილ იქნა გენომის რაოდენობრივი დარღვევების სხვა მაჩვენებელზე ბიორეგულატორის - ლივაგენისა და მძიმე მეტალის- კობალტის ზეგავლენა. ზოგადად პოლიპლოიდიის დონე დუქტალური ძუძუს კიბოთი დაავადებულებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მნიშვნელოვნად აღემატება (პოლიპლოიდურ უჯრედთა სიხშირე - 1,5%) ჯანმრთელ ინდივიდთა ინტაქტური კულტურების მაჩვენებელს (0,1%). პეპტიდური ბიორეგულატორი დაავადებულ ინდივიდებში ახდენს ამ მაჩვენებლის ნორმასთან მიახლოებას ( $0.9 \pm 0.2\%$ )(სურ. 4.2.5, ცხრ.1).



სურ.4.2.5. პოლიპლოიდის მაჩვენებელი ძუძუს კიბოთი დაავადებულ ინდივიდთა ლიმფოციტურ კულტურებში ბიორეგულატორის - ლივაგენისა დაკობალტის იონების განმხოლოებული და ერთობლივი ზემოქმედებისას.

ცხრილი 1. აბერაციების და ანეუპლოიდიის რაოდენობა ძუძუს კიბოთი დაავადებული პაციენტების ინტაქტურ, ბიორეგულატორით და მეტალის იონებით დამუშავებულ ლიმფოციტარულ კულტურათა უჯრედებში

ცდის პირობა	მეტაფაზები აბერაციებით	აბერაციები ერთ უჯრედზე	ცნდ ერთუჯრედზე	ანეუპლოიდია % საერთო რაოდენობიდან±m	პოლიპლოიდია % საერთო რაოდენობიდან±m
	% საერთო რაოდენობიდან±m				
კონტროლი	1,7±0,3	0,017±0,001	0,03±0,01	6,7±1,2	0,1±0,01
დძკ პაციენტი (ინტაქტური)	7,5±1,2	0,08±0,02	0,16±0,03	29,5±3,9	1,5±0,05
დძკ+ლივაგენი	2,7±0,5	0,03±0,015	0,12±0,03	15,4±3,4	0,9±0,02
დძკ+CoCl2	7,9±1,0	0,08±0,01	0,2±0,01	35,2±4,0	2,9±1,0
დძკ+ ლივ-CoCl2	3,4±1,0	0,03±0,03	0,1±0,02	19±1,1	2,1±1,0

ბიორეგულატორ ლივაგენის განმხოლოებული და კობალტთან კომბინირებული მოქმედებისას ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა აბერაციების მაჩვენებელი ერთ უჯრედზე, რომელიც ძუძუს კიბოთი დაავადებულთა ინტაქტურ უჯრედებში შეადგენდა  $0,08 \pm 0,02$  აბერაციას ერთ უჯრედზე, ხოლო ჯანმრთელ ინდივიდებში იყო  $0,017 \pm 0,001$  აბერაცია /უჯრედზე. ლივაგენის მოქმედებამ ეს მაჩვენებელი შეამცირა  $0,03 \pm 0,015$  აბერაცია/უჯრედზე, რაც ზუსტად დაემთხვა ამ ბიორეგულატორის მეტალთან კომბინაციით მიღებულ მაჩვენებელს ( $0,03 \pm 0,03$ ) (ცხრ.1).

#### 4.2.1. ფრაგილური საიტების სიხშირისა და განაწილების შესწავლა ძუძუს კიბოთი დაავადებულთა ლიმფოციტებზე ბიორეგულატორისა და მეტალის განმხოლოებული და ერთობლივი მოქმედების დროს

როგორც ცნობილია, გენეტიკურად დეტერმინირებულ დაავადებებს, რომელთაც სიმსივნეების ყველა სახე მიეკუთვნება, ხშირად ახასიათებთ გენომური არასტაბილურობის მაღალი დონე. მოცემული კვლევის ფარგლებში, წინა ეტაპებზე ჩატარდა გენომის სტაბილურობის შეფასება ძუძუს კიბოთი დაავადებულთა უჯრედებში ქრომოსომული აბერაციების ტესტის მიხედვით და ნაჩვენები იყო ამ პარამეტრის სიხშირის სარწმუნო ზრდა ჯანმრთელ ინდივიდებთან შედარებით. გენომური არასტაბილურობის თავისებურ ფორმას წარმოადგენს ქრომოსომათა ფრაგილური ("მსხვრევადი") საიტები (ორმაფიანი დნმ-ს წყვეტები). „ზოგადი“ და „იშვიათი“ ფრაგილური საიტების ლოკუსები ქრომოსომებზე მოწესრიგებულად არის განლაგებული და სხვა საიტებთან შედარებით უფრო მგრძობიარეა გენეტიკური სტრუქტურის ცვლილების თვალსაზრისით (Debatisse et al., 2012). ფრაგილური საიტების გენეტიკური არასტაბილურობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს გენომის დარღვევების ფორმირებაში, რაც ხშირად ემთხვევა დარღვევებს, რომლებიც აღინიშნება ზოგიერთი სახის სიმსივნისას (Wang et al., 1999; Smith et al., 2007).


ფრაგილური საიტების გენეტიკური არასტაბილურობა უჯრედული ჰომეოსტაზის დარღვევის წინაპირობაა, რაც, თავის მხრივ, სიმსივნური დაავადების ფორმირების მიზეზი შეიძლება გახდეს. უჯრედული ჰომეოსტაზის შენარჩუნების ერთ-ერთ მექანიზმს




წარმოადგენს რეპარაცია - პროცესი, რომლის შედეგადაც ხდება დნმ-ს დარღვევების აღდგენა (Lezhava, 2001; Lezhava et al., 1979). საინტერესოა, რომ გენომის მდგომარეობის ეს ორივე პარამეტრი - ფრაგილური საიტების ექსპრესიის მაჩვენებელი და დნმ-ს რეპარაციის დონე, ექვემდებარება კორექციას სხვადასხვა ფაქტორებით ზემოქმედებისას (Lezhava et al., 2015).

მოცემულ ეტაპზე გათვალისწინებული იყო პეპტიდური ბიორეგულატორისა (ლივაგენის) და მეტალთა იონებს ( $\text{CoCl}_2$ ) განმხოლოებული და ერთობლივი ზემოქმედების გავლენის შესწავლა დაავადებულთა უჯრედებში ფრაგილური საიტების ექსპრესიის ცვალებადობასა და დნმ-ს არაგეგმიანი სინთეზის (რეპარაციის პროცესის) ინტენსივობაზე.

პირველ რიგში განისაზღვრა ფრაგილური საიტების სიხშირე ძუძუს კიბოთი დაავადებულთა ინტაქტურ უჯრედებში. აღმოჩნდა, რომ ამ მაჩვენებელმა შეადგინა  $4,4 \pm 0,04$  ს/უჯ, რაც მნიშვნელოვნად აღემატება მაჩვენებელს ჯანმრთელი ინდივიდებისათვის -  $0,42 \pm 0,013$  ს/უჯ (სურ.4.2.2.1, ცხრ.2). მიღებული შედეგი მიუთითებს, რომ შეფასების ამ ტესტის მიხედვითაც ძუძუს კიბოთი დაავადებულთა უჯრედებისათვის დამახასიათებელია დნმ-ს დარღვევების მაღალი დონე, რაც შესაძლოა სიმსივნის ამ ფორმისათვის დამახასიათებელი იშვიათი საიტების ექსპრესიით იყოს განპირობებული.



სურ. 4.2.1.1. ფრაგილური საიტების რაოდენობა ერთ უჯრედზე ჯანმრთელ და ძუძუს კიბოთი დაავადებულ ინდივიდთა ინტაქტურ კულტურებში.




სურ.4.2.1.2. პეპტიდური ბიორეგულატორისა (ლივაგენი) და მეტალის იონების (CoCl<sub>2</sub>) განმხოლოებული და ერთობლივი გავლენა ფრაგილური საიტების გამოვლენის სიხშირეზე (ფრ.საიტი ერთ უჯრედზე) ძუძუს კიბოთი დაავადებული პაციენტების უჯრედებში

პეპტიდური ბიორეგულატორით ზემოქმედებამ ძუძუს კიბოთი დაავადებული პაციენტების უჯრედებზე განაპირობა ფრაგილური საიტების ექსპრესიის დონის სარწმუნო კლება. კერძოდ, ლივაგენით ზემოქმედებისას ერთ უჯრედზე საშუალოდ აღირიცხებოდა  $1,64 \pm 0,03$  საიტი (სურ. 4.2.1.2). გამოვლენილი დამცველობითი ეფექტი შესწავლილი ბიორეგულატორის მიერ ქრომატინის მოდიფიკაციის უნრით შეიძლება აიხსნას, რაც ლიტერატურის მონაცემებით დასტურდება (Lezhava et al., 2004; Khavinson et al., 2003). ლივაგენის შედარებითი ეფექტურობის გამო იგი გამოიცადა, აგრეთვე მეტალის იონებთან (CoCl<sub>2</sub>) ერთობლივი ზემოქმედებისას. კობალტის იონები განმხოლოებული ზემოქმედებისას რამდენადმე აქვეითებდნენ ძუძუს კიბოთი დაავადებულთა უჯრედებში ფრაგილური საიტების გამოვლენის სიხშირეს ( $3,04 \pm 0,03$  ს/უჯ - კობალტის ზემოქმედებისას;  $4,4 \pm 0,04$  ს/უჯ. - ინტაქტურ კულტურებში). ლივაგენითან ერთობლივი გამოყენებისას დამცველობითი ეფექტი სარწმუნოდ მაღალი იყო ( $1,07 \pm 0,02$  ს/უჯ) (სურ.4.2.1.2, ცხრ.2).

ცხრილი 2. ფრაგილური საიტების რაოდენობა და განაწილება ქრომოსომაზე მდებარეობის მიხედვით, ჯანმრთელ და ძუძუს კიბოთი დაავადებულ ინდივიდთა ინტაქტურ და ბიორეგულატორისა და მეტალის განმხოლოებული და ერთოლივი მოქმედებით დამუშავებულ კულტურებში

ცდის პირობა	ფრაგილური საიტები ერთ უჯრედზე	ფრაგილური საიტების ტიპები (% საერთო რაოდენობიდან)		
		მედიალური	ტერმინალური	ცენტრომერული
ჯანმრთელი ინდივიდები	0.42±0.5	75.2±4.1	4.8±2.07	20±3.88
ძუძუს კიბოთი დაავადებული პაციენტების უჯრედები(ინტაქტური)	4.4± 0.04	30.7±2,3	8.7±2,8	60,6±3,3
Liv	1.64±0.02	40.3±2,3	5.8±1,5	53.9±3,5
Liv+CoCl <sub>2</sub>	1.07±0.02	50.11±3,0	5.81±1,5	44,08±3,2
CoCl <sub>2</sub>	3.04±0.03	25±3.4	5±2.11	70±3.4



სურ. 4.2.1.3. ფრაგილური საიტების განაწილება ქრომოსომათა სიგრძეზე ძუძუს კიბოთი დაავადებულთა და ჯანმრთელ ინდივიდთა უჯრედებში.

საინტერესო სურათი გამოვლინდა ქრომოსომათა სიგრძის გასწვრივ ფრაგილური საიტების განაწილების შესწავლისას. აღმოჩნდა, რომ პაციენტთა უჯრედებში ფრაგილური საიტები უპირატესად აღირიცხებოდა ქრომოსომათა ცენტრომერულ უბნებში ( $60,6 \pm 3,3\%$  საიტების საერთო რაოდენობიდან), რაც მკვეთრად განასხვავდება მათ ჯანმრთელი ინდივიდების უჯრედებისაგან, სადაც ფრაგილური საიტების უდიდესი ნაწილი მოდიოდა მედიალურ უბნებზე ( $75,2 \pm 4,1$  - მედიალური საიტები;  $20 \pm 3,8$  - ცენტრომერული) (სურ. 4.2.2.3, ცხრ.2). მიღებული შედეგი დაავადებულთა უჯრედებში ცენტრომეროსთან მიმდებარე უბნების სპეციფიკურ დეკონდენსაციაზე უნდა მიუთითებდეს.

ჩვენს მიერ გამოვლენილ იქნა სპეციფიკურობა ფრაგილური საიტების ექსპრესიასთან დაკავშირებით კობალტის მოქმედებისათვის, რომელიც მაღალი სიხშირით ინდუცირებდა ფრაგილურ საიტებს პერიცენტრომერულ ქრომატინში (ცხრ.2). ლიტერატურიდან ცნობილია, რომ კობალტი იწვევს ცენტრომერული უბნების გაშლას, დეკონდენსაციას. როგორც ავნიშნეთ, კობალტის იონებით ზემოქმედებისას პერიცენტრომერულ უბნებში იზრდება შვილეულ ქრომატიდთა გაცვლების სიხშირე, გაცვლები კი, უპირატესად ეუქრომატულ უბნებში ხდება. შესაბამისად, ეფექტი უნდა მივაწეროთ კობალტის იონების სპეციფიკურ ზემოქმედებას ქრომოსომის ამ ნაწილზე. კობალტით ზემოქმედებისას ასევე იზრდება პერიცენტრომერულ უბნებში ფრაგილური საიტების გამოვლენის სიხშირე.

ბიორეგულატორის როგორც განხილვებული, ასევე მეტალის იონთან კომბინირებული მოქმედებისას ხდებოდა აღნიშნული მაჩვენებლების ნორმასთან მიახლოება (ცხრ.2).

ცხრილი 3. ფრაგილური საიტების განაწილებას ქრომოსომული ჯგუფების მიხედვით, ძუძუს კიბოთი დაავადებულთა და ჯანმრთელ ინდივიდთა როგორც ინტაქტურ უჯრედებში, ასევე ბიორეგულატორისა და მეტალის განმხოლოებული და კომბინირებული მოქმედებისას.


ცდის პირობა	ქრომოსომათა ჯგუფები						
	A	B	C	D	E	F	G
ჯანმრთელი ინდივიდები	24,1±0,1	21,7±0,5	40±0,3	12,6±0,05	1,5±0,01	-----	-----
ძუძუს კიბოთი დაავად. ინტაქტური	28,24±0,8	24,13±0,7	36,44±0,8	1,35±0,8	6,3±2,2	3,54±2,3	-----
Liv	20±1,6	13±1,5	46±2,4	8,8±0,8	2,2±0,5	2,2±0,5	-----
Liv+CoCl <sub>2</sub>	16±0,5	8,8±0,1	39±0,8	15±0,5	6,6±1,5	10±1,2	6,6±1,5
CoCl <sub>2</sub>	23,5±1,5	1,8±0,1	54,7±3,3	13,2±1,4	5,6±1,0	1,8±0,1	-----

რაც შეეხება ფრაგილური საიტების განაწილებას ქრომოსომული ჯგუფების მიხედვით, პაციენტების ინტაქტური კულტურების მაჩვენებელი ჯანმრთელი ინდივიდების კონტროლისაგან განსხვავდებოდა ქრომოსომათა A, E და F ჯგუფებისათვის (ცხრ.3). კობალტი განმხოლოებული გამოყენებისას დაავადებულებში სარწმუნოდ აქვეითებდა ინტაქტური კულტურების მაჩვენებელს B ჯგუფისათვის, თუმცა ლივაგენტან ერთობლივი ზემოქმედება ამ პარამეტრის ნორმალიზაციას ახდენდა (ცხრ.3).


ამრიგად, ჩატარებული კვლევები საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ძუძუს კიბოთი დაავადებული ინდივიდებისათვის დამახასიათებელია ფრაგილური საიტების ექსპრესიის როგორც ზოგადი, ისე მეტალის იონებით ინდუცირებული მაღალი დონე, რაც პეპტიდური ბიორეგულატორებით კორექციას ექვემდებარება.

#### 4.2.2 დნმ-ს ერთმაფიანი წყვეტების შემცველ უჯრედთა სიხშირის განსაზღვრა ძუძუს სადინროვანი კიბოთი დაავადებულ ინდივიდებში

ფლუორესცენტული მეთოდის (Comet assay) გამოყენებით შესწავლილ იქნა გენეტიკური მასალის - დნმ-ს მთლიანობის დაზიანების - ერთმაფიანი წყვეტების შემცველ უჯრედთა სიხშირეები ჯანმრთელთა და ძუძუს სადინროვანი კიბოთი დაავადებულთა უჯრედებში.



სურ. 4.2.2.1. ფლუორესცენტული მეთოდით (Comet assay) გამოვლენილი დნმ-ს ერთმაფიანი წყვეტების შემცველ უჯრედთა სიხშირე ჯანმრთელ და ძუძუს კიბოთი დაავადებულ ინდივიდთა კულტურებში.



სურ. 4.2.2.2. ფლუორესცენტული მეთოდით (Comet assay) გამოვლენილი ა. დნმ-ს ერთმაფიანი წყვეტების შემცველი უჯრედი; ბ. ნორმალური უჯრედი.


ჯანმრთელი ინდივიდების საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა  $10,0 \pm 0,01\%$ , ხოლო შუშს კიბოთი დაავადებულებში ერთმაფიანი წყვეტების შემცველ უჯრედთა რაოდენობა შეესაბამებოდა  $18,52 \pm 0,013\%$ -ს (სურ.4.2.2.1; 4.2.2.2.). შესაბამისად, ფლუორესცენციის მეთოდის გამოყენებამ დაადასტურა, რომ ძუძუს კიბოთი დაავადებულებში დაფიქსირებული ქრომოსომული არასტაბილურობის მაღალი დონე განპირობებულია მათ უჯრედებში დნმ-ის პირველადი დაზიანებების - ერთმაფიანი წყვეტების ზრდით ფლუორესცენტული მეთოდის გამოყენებისას დაავადებულთა კულტურებში გამოვლენილი დნმ-ს ერთმაფიანი წყვეტების ზრდა საშუალებას იძლევა აიხსნას ამ ინდივიდებისათვის დამახასიათებელი მაღალი გენომური არასტაბილურობა.

#### **4.3. შვილეულ ქრომატიდთაშორისი გაცვლების სიხშირისა და განაწილების შესწავლა ძუძუს კიბოთი დაავადებულთა ლიმფოციტებზე ბიორეგულატორისა და მეტალის განმზოლოებული და ერთობლივი მოქმედებისას**

ტელომერათა სიგრძის ცვალებადობის შეფასება სადინროვანი ძუძუს კიბოთი დაავადებულთა უჯრედებში ხდებოდა შვილეულ ქრომატიდთა შორის გაცვლების მეთოდის (შქგ) გამოყენებით. ამ მიზნით შქგ-ს ტესტის გამოყენება ემყარება იმ გარემოებას, რომ ქრომატიდთაშორისი გაცვლების ფორმირება ძირითადად ქრომოსომათა ეუქრომატულ უბნებში ხდება, შესაბამისად, გაცვლების რაოდენობის კლება ან ზრდა ქრომატინის დეკონდენსაციასა ან კონდენსაციის მატებაზე მიუთითებს (Лежава, 2001). მაკორეგირებელი ზემოქმედების ეფექტის შესაფასებლად, ამ შემთხვევაში გამოყენებული იყო ლივაგენითა და კობალტის იონებით ერთობლივი ზემოქმედება.

ცხრილი 4. შვილეულ ქრომატიდაშორისი გაცვლების სიხშირე და განაწილება ჯანმრთელ ინდივიდთა და ძუძუს კიბოთი დაავადებულთა ლიმფოციტურ კულტურებში (ინტაქტური და ლივაგენ-კობალტის ერთობლივი ზემოქმედებისას).

ცდის პირობა	შქგ ერთ უჯრედზე	შქგ-ს ტიპები (% გაცვლების საერთო რაოდენობიდან)		
		მედიალური	ტერმინალური	ცენტრომერული
